ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 306

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1, №2 და №3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: №01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1, №2 და №3 (მიწისქვეშა ნაგებობა, საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 ოქტომბრის №19.1040.1337 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1, №2 და №3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: №01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან (ს/ნ: 201990079) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე